ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 676

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში (ს/კ. №01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში (ს/კ. №01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაზარალებული პირების მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 19 დეკემბრის №24.2203.2485 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმის №13-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, განხორციელდეს ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. №37 ,,ა-ში" (ს/კ. №01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ,,სანაპირო 2005"-ის და შპს ,,რივერ საიდი 2023-ის" (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №126, 29.03.2024 განკარგულებით განსაზღვრული ფართის და თანხის სახით შესასრულებელი ვალდებულებებისთვის შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №126 განკარგულების დანართი №1-ით (თანხის სახით გასასტუმრებელი პირების სია) განსაზღვრულ პირებს დაემატოს შემდეგი პირები:

ა.ა) სალომე მესხი (პ/ნ. 01005023896)

ა.ბ) ვლადიმერ მესხი (პ/ნ. 01017020001)

ა.გ) ქეთევან კუხალეიშვილი (პ/ნ. 01017020000)

ბ) მიეცეთ კომპენსაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №126 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირებს:

ბ.ა) სალომე მესხს (პ/ნ. 01005023896) – 72 000 (სამოცდათორმეტი ათასი) აშშ დოლარი.

ბ.ბ) ვლადიმერ მესხს (პ/ნ. 01017020001) – 34 800 (ოცდათოთხმეტი ათას რვაასი) აშშ დოლარი.

ბ.გ) ქეთევან კუხალეიშვილს (პ/ნ. 01017020000) – 411 000 (ოთხას თერთმეტი ათასი) აშშ დოლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე